# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 5

ქ. საჩხერე 25 თებერვალი 2013წ.

შ.პ.ს. „მაგთიკომი“ წარმოდგენილი ოფისის ზედამხედველის გიორგი გაგნიძის სახით, შემდგომში – გამყიდველი, და ერთის მხრივ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ სპეთის საჯარო სკოლის დირექტორი გიორგი კიპაროიძის სახით, შემდგომში – მყიდველი, მეორეს მხრივ შპს „მაგთიკომი“, წარმოდგენილი მისი საჩხერის ოფისის ზედამხედველის გიორგი გაგნიძის სახით, ( შემდგომში „მიმწოდებელი“) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის სახსრებით 180(ას ოთხმოცი) ლარის მობილური სატელეფონო მომსახურების შესყიდვა

1.2 მომსახურების შესყიდვა შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, *გამყიდველის* ანგარიშზე ჩარიცხული თანხების პროპორციულად.

## 2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 *მყიდველი* ვალდებულია:

2.1.a გადაუხადოს *გამყიდველს* მომსახურების ღირებულება, ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად;

2.2 *გამყიდველი* ვალდებულია:

2.2.ა ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დადასტურების შემდეგ, გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება

– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

## 3. ფასი და ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება წარმოებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით;

3.2 *მყიდველს* უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში 1.1. პუნქტში აღნიშნული თანხის ანგარიშსწორება *გამყიდველთან* მოახდინოს ნაწილობრივ.

## 4 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში (როგორიცაა სტიქიური უბედურება, მიწისძვრა, სამხედრო მოქმედებები და დაუძლეველი ძალის მქონე მხარეთაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები), რომლებიც მთლიანად შეუძლებელს ხდიან ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

6.2 მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს ასეთი გარემოებების არსებობის შესახებ.

## 7. სადავო საკითხების გადაწყვეტა

წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 8. დასკვნითი დებულებები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება სრულიად ადასტურებს მხარეთა კონსენსუსს და არანაირი ზეპირი ცვლილება ან დამატება არ განიხილება, როგორც ამ ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი;

8.2 ხელშეკრულებაში შესაძლებელია შეტანილი იქნას ცვლილებები, რომელიც გაფორმებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით და დამოწმებული ორივე მხარის მიერ.

8.3 ხელშეკრულება შედგენილია ორ პირად, ერთი პირი გადაეცემა გამყიდველს და ერთი პირი მყიდველს. ორივე პირს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

გამყიდველი:

იურიდიული მისამართი

ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №5

საბანკო რეკვიზიტები:

ს.ს. "ვითიბი ბანკი"

ცენტრალური ფილიალი

ა/ა GE73VT6600000000423607;

კოდი: UGEBGE22

საიდენტ. კოდი: 204876606

მყიდველი:

იურიდიული მისამართი

საჩხერე სოფ სპეთი

საბანკო რეკვიზიტები:

ს.ს. ლიბერთი ბანკის საჩხერის ფილიალი

ა/ფ 301ს0121115522229000 კოდი:LBRTGE22

საიდენტ. კოდი: 239403338

ოფისის მენეჯერი

დირექტორი

( )

( )